ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 8 1883—1898 30 აპრილი.

გაზეთის ფასი:

	„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვით	. . . 3 მან.	12 თვით . . . 5 მან.
6 —	. . . 2 —	6 — . . . 3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად ლ გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

მღვდლის სამსახურის სიმძიმე წმ. იოანნე ოქროპირის სიტყვით.

26 თებერვალს ამა წლისა სწორეთ 1500 წელიწადი შესრულდა იმ დღიდგან, როცა ანტიოქიის მღვდელი წმ. იოანნე ოქროპირი ხელ-დასხმულ იქმნა კონსტანტინეპოლის მთავარ-ეპისკოპოსად. ეს დღე იმდენად ღირსსახსოვარია ქრისტეს ეკკლესიის უდიდესი მნათობის ცხოვრებიდან, რომ არ შეიძლება უყურადღებოდ დასტოვოს იგი მართლ-მადიდებელმა კაცმა. წმ. იოანნე ოქროპირის სამსახური ფრიად შესანიშნავი და საყურადღებოა ქრისტეს ეკკლესიის ყველა მწყემსთათვის და ამიტომ სასულიერო ჟურნალში საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მოვიხსენოთ ამ წმიდანის სიტყვები და აზრი მღვდლის სამსახურის შესახებ. წმ. იოანნე ოქროპირმა თავისი აზრი ამ საგნის შესახებ წარმოთქვა 26 თებერვალს 398 წელსა, კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძარში, როცა ხალხის დიდი თხოვნის შემდეგ მან დაბოლოს მიიღო თავის თავზე კონსტანტინეპოლის ეკკლესიის მთავარ-ეპისკოპოსობა.

თბილისი

ძნელი, მაგრამ დიდი და წმიდა მოვალეობა ხვდათ წმ. ეკლესიის მწყემსთ, ამბობს წმ. ოქროპირი, მათ უნდა შეიყვანონ ხალხი ღვთის სასუფეველში, რომელიც თითოეული კაცისათვის აქვე, ცოდვილს ქვეყანაზე, უნდა დაიწყოს და შემდეგ შეუწყვეტლად უნდა გაგრძელდეს როგორც სიკვდილამდე, ისე სიკვდილის შემდეგაც. ამ დიდი მოვალეობის აღსრულებისათვის მართლ-მადიდებელი ეკკლესიის მწყემსთ უნდა ექნესთ განსაკუთრებული ნიჭნი, განსაკუთრებული ღირსებანი, რომელთა წყალობით მწყემსნი გაცილებით მაღლა უნდა იდგნენ სამწყსოზე; ეკკლესიის მწყემსთათვის საჭიროა, რომ მათ აქვნდეთ ჭეშმარიტი მოწოდება, ზეგარდამო ნიჭი ამ წმიდა სამსახურისადმი, ამასთან იგინი საფუძვლიანად უნდა იქნენ მომზადებულნი, აქვნდეთ სრული თავის განწირულება, ქრისტიანობრივი სიყვარული, ის სიყვარული, რომლის უმეტესი არავის აქვს (იოან. 15, 13). მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ჭეშმარიტნი მწყემსნი არიან მარილი ქვეყნისა, მათი კეთილი ნაყოფი აურაცხელია, მაგრიმ არ შეიძლება ავწეროთ ის ვნებაც, ის ბოროტიც, რომელსაც აუცილებლად მოიტანს ყოველი კაცი, თუ იგი წინდაუხედავად მიიღებს თავის თავზე ამ მრავალ საძნელო და ყველა ქვეყნიურ სამსახურზე უმეტესად პასუხის საგებელ მოვალეობას. მღვდელი, რომელიც კარგად არ გამოიკითხავს თავის ძალ-ღონეს და ისე მიიღებს თავის-თავზე ამ დიდ მოვალეობას, დაღუპავს მრავალ კაცს, და მათთან ერთად თვითონაც დაიღუპება. ყველა ამ აზრთა: მღვდელობის სამსახურის სიდიდის და სიწმიდის შესახებ, ამ სამსახურისათვის მომზადებასა და სიძნელეზე და თვისებებზე, რომლითაც მღვდელი განსხვავებული უნდა იყოს სამწყსოსაგან და ბოლოს მღვდლის დიდი პასუხის მგებლობა, თუ მან ღირსეულად ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა, ჩვენ ვკითხულობთ წმ. იოანნე ოქროპირის ნაწერებში და სახელდობ «მღვდლობა»-ში. ხსენებული თხზულება შეადგენს ბაას ამ წმ. მამის და ვიღაც ვასილის შორის. ვასილი და იოანნე იყვნენ მეგობრები, ერთად მიიღეს განათლება, ერთად ატარებდენ ცხოვრებას უდაბნოში. ვინაიდგან იოანნე და ბასილი იმ დროს შესანიშნავნი იყვნენ თავიანთი კეთილი ცხოვრებით, ამიტომ ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ იგინი ძლიერ ახალ გაზდები იყვნენ, განიზრახა მათი ეპისკოპოსად აღრჩევა. ეს ამბავი მოეფინა ხალხში. ვასილი მიდის თავის მეგობარ იოანნესთან,ატყობინებს მას ამ ამბავს და მასთან მასაც ეუბნება იოანნეს, რომ იგი როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც თავისი მეგობრის მაგალითისამებრ მოიქცევა. წმ. ოქროპირმა, რომელსაც არა სურდა მოეკლო ეკკლესიისათვის ნიჭიერი და გულს მოდგინე მწყემსი, მაშინვე არ გაუმხილა ვასილს თავისი აზრი და გრძნობანი, არც ის უთხრა, რომ იგი არ მიიღებს ეპისკოპოსობას, რადგან ეს სამსახური ქვეყნიურ ყველა სამსახურზე დიდად პასუხის საგებელია. მოაწია აღრჩევის დრომაც. ვასილი აირჩიეს; იგი სრული დარწმუნებული იყო, რომ მისი მეგობარი იოანნეც მიიღებდა ეპისკოპოსობას. მაგრამ წმ. იოანნე დაიმალა, სადღაც გაიქცა. როცა წმ. იოანნე დაბრუნდა, ვასილმა უსაყვედურა მას მოტყუებისათვის. წმ. იოანნეს პასუხში მოთავსებულია ყველა მისი შესანიშნავი აზრები მღვდლობაზე. მღვდლობის მიუღებლობას იმითი ხსნის წმ. იოანნე, რომ ეს მოვალეობა ფრიად დიდი და წმიდაა, რომ იგი ღირსი არ არის ამ თანამდებობისა. ვასილში წმ. იოანნე ხედავს ისეთ თვისებათ, რომელთა შეოხებით მას შეეძლო ემსახურა სასარგებლოდ ეკკლესიისა. აი წმ. იოანნე რას ამბობს მღვდლის დიდ სამსახურზე: «მღვდლობა სრულდება ქვეყანაზე, მაგრამ ეკუთვნის ზეციურ დაწესებულებათა. არც კაცს, არც ანგელოზს, არც მთავარ-ანგელოზს და არც რაიმე გამოჩენილ ძალას არ დაუდგენია მღვდლობა. იგი დაადგინა თვით ნუგეშინისმცემელმა და აიძულა ხალხი, რომელიც ხორცშესხმულია, რომ მან მიბაძოს ანგელოსთა სამსახურს. მღვდელობა ზეციური დადგენილობაა, იგი ეთანასწორება ანგელოსთა სამსახურს.

შემდეგ წმ. იოანნე ოქროპირი ლაპარაკობს იმ უფლებაზე, რომელიც მღვდელს აქვს წმ. საიდუმლოებში. მღვდლობა ეს ის მოვალეობაა, ურომლოთაც ჩვენ (სამწყსოთ) არ შეგვიძლია მივიღოთ არც ცხოვნება და არც აღთქმული ნეტარება; ასეთია მღვდლობა იმიტომ, რომ ყველა საიდუმლოები, რომელთა შეოხებით ჩვენ, როგორც გარეული ზეთის ხილი, უერთდებით ქრისტეს, და რომელთა წყალობით თანაზიარი ვხდებით საუკუნო ცხოვრებისა, სრულდებიან მღვდლის ხელით. წმ. ოქროპირი თვალ წინ იდგენს ძველ აღთქმის დროს. აი წმ. წინასწარმეტყველს ილიას მრავალი ხალხის თანადასწრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვის ძალით გადმოჰყავს ზეციური ცეცხლი მდებარე მსხვერპლზე; ეს იყო დიდი სასწაული. მაგრამ ქრისტეს მწყემსი დღეს ამაზე უფრო დიდ სასწაულს ასრულებს: მისი ლოცვის ძალით «წინადადებულ პატიოსანთა ძღვენთა» ზედა გადმოდის თვით სული წმიდა. შემდეგ წმ. იოანნე ლაპარაკობს საიდუმლო სინანულზე. აქ ეს წმ. მამა მსმენელთა ყურადღებას აქცევს მღვდლის დიდ უფლებას. თვით დიდებულ და ძლიერ ქვეყნიურ მფლობელთ უფლება აქვსთ მხოლოდ თავიანთ მონების სხეულზე, ხოლო მღვდელს მიცემული აქვს უფლება კაცის სულზე. მაგრამ რას ვამბობ ქვეყნიურ მფლობელებზე, როცა თვით ანგელოსები და მთავარ-ანგელოსებიც მოკლებულნი არიან იმ უფლებას, რომელიც ღმერთმა მიანიჭა მწყემსთ: ეს უფლება არის უფლება «შეკვრისა და გახსნისა», ეს არის სამსაჯულო, რომელიც მისცა მამამ ძესა (იოან. V, 22), ხოლო მისგან მიენიჭათ მწყემსთ. წმ. საიდუმლო სინანულის და აღსარების დროს მღვდლის წინაშე ხალხი აღიარებს თავის ცოდვებს და გულის თქმათა, რომელთა გამხელა ზოგჯერ თვის თავისთვისაც ეძნელება; ამ შემთხვევაში მღვდელი ხდება სამწყსოთა სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელი, იგია მათი სულიერი მამა. ასეთივე სულიერი მამა ხდება მღვდელი საიდუმლო ნათლის ღების დროსაც. ხორციელნი მშობლები შობენ შვილებს ამ ქვეყნიური, დროებითი ცხოვრებისათვის, ხოლო ეკკლესიის მწყემსი შობს ყრმათა სულიერი ცხოვრებისათვის, იმ ცხოვრებისათვის, „რომელი არა სადა მიელოს მისგან» და რომელსაც აქვე, ამ ქვეყანაზე თან ახლავს სასუფეველი ღვთისა, თან გაყვება მას საიქიოს, ვინაიდგან სულიერმა სიცოცხლემ არა უწყის სიკვდილი. ხორციელმა მშობლებმა, ამბობს წმ. ოქროპირი, შობეს შვილნი თვისნი სისხლისა და ხორცისა თვისისაგან, ხოლო მწყემსთა მეოხებით ჩვენ ვიშობებით ღვთისაგან, ნეტარი ცხოვრებისათვის და ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის. ასეთი სიწმიდით, ასეთი დიდებით და უფლებითაა აღჭურვილი ყველა სამსახურზე უდიდესი სამსახური მღვდლისა; გარეშე საიდუმლოებისა, რომელთაც ასრულებს მღვდელი, გარეშე მწყემსის სულიერი ხელმძღვანელობისა,—კაცი ვერ შევა ზეციურ სასუფეველში.

მხოლოდ ამ მოსაზრებათა შემდეგ რწმუნდება ვასილი, თუ რატომ არ მიიღო თავის თავზე წმ. იოანნემ მღვდელობა; იგი ხედავს, რომ წმ. იოანნეს კი არ ეზარება ეს სამსახური, არამედ მოწიწებით უცქერის მას და ამიტომაც უარ ჰყო იგი: «მე ვიცი ჩემი სული», ეუბნება წმ. იოანნე ვასილს, «სული სუსტი და მცირე», ვიცი ამ სამსახურის სიდიადე და დიდი სიძნელე საქმისა. რომ შეგნებით მიიღო მღვდელობა, პირველად საჭიროა შენი თავი მოამზადო ამ სამსახურისათვის: უნდა იმეცადინო, რომ შეიძინო სხვა-და-სხვა ცოდნა, შეიმუშაო შენი ხასიათი, უნდა გააძლიერო შენს გულში ქრისტიანული სიყვარული, რომ გულს მოდგინეთ ემსახურო სამწყსოს და წინ აღუდგე ყველა იმ განსაცდელთა, რომელნიც გზაზე ელობებიან მწყემსთ მათი მოღვაწეობის დროს. სულ უბრალო მაგალითით ამტკიცებს წმ. იოანნე ამ ჭეშმარიტებას. არავინ არ შეუდგება სახლის შენებას, თუ მას შენობის არა გაეგება რა, არავინ არ იწყებს ექიმობას, თუ მან ექიმობის არაფერი იცის. თუ კი ამისთანა ჩვეულებრივი ქვეყნიური საქმეებისათვის საჭიროა მომზადება, ნუ თუ შეიძლება მოუმზადებლად მიიღოს კაცმა თავის თავზე მღვდელობა, რომელიც იმდენად მაღლა დგას სხვა სამსახურზე, რამდენათაც სული დიდია სხეულზე, რამდენათაც საუკუნო ცხოვრება უმჯობესია ქვეყნიურ დროებითი ცხოვრებაზე, და ცა ქვეყანაზე. ნუ თუ მომავალი მწყემსი ვალდებული არ არის მოიფიქროს, დაეკითხოს თავს, აქვს თუ არა მას ძალ-ღონე, რომ შეასრულოს მღვდლის ფრიად საძნელო შოვალეობა? ყველასათვის ცხადია, რომ აქ გაუნათლებლობის და გამოუცდელობის წყალობით იღუპება მრავალ კაცთა სული. წმ. იოანნე ოქროპირის სიტყვებიდან ჩანს, რომ მღვდელობის მიმღებმა პირველად უნდა შეისწავლოს თავისი სული, უნდა კარგად შეიგნოს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალეობის უაღრესობა. «ეკკლესია», ამბობს მეორე ადგილს წმ. იოანნე, „არის სხეული ქრისტესი". და მღვდელი ვალდებულია ეს სხეული დაიცვას ღირსეულად, რომ იგი ღირსი იქნეს ქრისტესი. რა დიდი მოვალეობაა? თუ კი ტანმრთელი კაცისათვის საჭიროა ექიმი, მასწავლებელი, ზომიერი ცხოვრება და მუდმივი ვარჯიშობა სხეულისა, მაშ რამდენი შრომაა საჭირო იმ პირისათვის, რომელიც სამღვდლოდ ემზადება? აქ თავი და თავი საქმის სიწმიდეა: ჩვენ უნდა უცქიროთ არა პურს, ქერს, ხარებს და ცხვრებს, არამედ თვით იესო ქრისტეს სხეულს. წმ. იოანნეს ამ მოკლე სიტყვებით ცხადათ მტკიცდება მღვდელობის უაღრესობა ამაო წუთის სოფლის ყველა ზრუნვათა ზედა.

შემდეგი იქნება.

ზნეობით განვითარებისათვის მარტო ბუნებრივი ზნეობითი კანონი არ კმარა; ამისათვის კიდევ აუცილებლად საჭიროა გამოცხადებული ღვთაებრივი ზნეობითი კანონი.

ადამიანის უმთავრესს ღირსებას შეადგენს მისი ზნეობრივი ხასიათი. მაღალ-ზნეობის კაცი არამც თუ იქცევს ყველას ყურადღებას, არამედ კიდევაც იპყრობს მათ გულსა; მას იყვარებენ, უმეგობრდებიან, მზადაც კი არიან მისთვის თავი დასდონ. ხოლო მდაბალ-ცუდ ზნეობრივ თვისებათა მქონ კაცისაგან განილტვიან, მას მტრულად ეკიდებიან, საზოგადოება მას ვერ ითმენს და მახლობელი ნათესავებიც კი ერიდებიან მას. ამისთანა კაცი, თუ გინდ იგი იყოს ღრმა შემოქმედებით გონების პატრონი, ვერ პოულობს სიყვარულსა; მასში ფას დებენ მისს ნიჭსა, მისს სწავლულობას, და არა მთელ მისს პიროვნებას, პატივს ცემენ მისს გონებას, თვითონ მისგან კი გარბიან. ასეთ დიდ მნიშვნელობისა გამო კეთილ-ზნეობისა, კაცმა თავდაპირველად უნდა იზრუნოს უმაღლეს ზნეობითის სულის შექმნაზე თვის თავში. ერთი ნამდვილ საშუალებათაგანი მაღალ-ზნეობის დამკვიდრებისათვის არის სინიდისის განვითარება, გაძლიერება. სინიდისი არის ადამიანის თანშობილი ზნეობრივი ძალა, მაჩვენებელი ცხოვრების კანონებისა, მაიძულებელი მათ დაცვისადმი, დამჯილდოებელი, ე. ი. აღმძვრელი სასიხარულო გრძნობებისა მის გაგონებისა—მიყოლისათვის, და დამსჯელი, ე. ი. აღმვსებელი სამწუხარო განწყობილებებითა მის გაუგონლობისათვის. ვინც ამ ზნეობრივ ძალას მისდევს, ზნეობრივად ვითარდება. მაგრამ უმაღლეს ზნეობრივ განათლების მიღწევისათვის მარტო ბუნებითი, სინიდისში აღბეჭდილი, ზნეობრივი კანონი არ კმარა; მასთან უსაზომოდ შეერთებული უნდა იქნეს სარწმუნოება. ურელიგიოთ შეიძლება, რომ კაცი გახდეს ცოტათ თუ ბევრად კეთილ-ზნეობიანი, ხოლო მაღალ ზნეობის მფლობელი კი არას გზით. ადამიანის ზნეობრივი ბუნება შეიქნება უფრო ღრმა, სავსე, ერთიანი, ყოველშემცველი და წმინდა მხოლოდ რელიგიურ ზედგავლენით. ურელიგიოდ ზნეობითი კანონი ხდება თაობითი, დაუდგრომელი, არა მტკიცე, დგება პსიხიურ და გარეგან მიზეზთა დამოკიდებულებაში, და ადამიანის „მე" კი არ შეესაბამება სინიდისის ჩვენებათა, არამედ პირიქით სინიდისი ემორჩილება „მეს", ადამიანის მოთხოვნილებათა და გონებათა. სინიდისის ესეთი დასუსტება წარმოდგება შემდეგ გარემოებათაგან. სინიდისი, როგორც ყველა სხვანი სულიერი ძალნი ადამიანისა, ითხოვს წვრთნასა. თუ ის ვითარდება, ე. ი. თუ მის მოთხოვნილებათა აკმაყოფილებენ, ის მაშინ უფრო და უფრო აღიზრდების, ძლიერდების, ის უფრო ნათლად და სისწორით არჩევს ბოროტებას, რაგინდ იგი მცირეოდენიც უნდა იყოს, კეთილისაგან, ენერგიულად დრეკს მნებელობას კეთილისადმი, უფრო საგრძნობელად აჯილდოებს და სჯის. აქედამ, მის მპყრობელს აქვს წმინდა და უმაღლესი შემეცნებანი ზნეობით ცხოვრებაზე. ხოლო თუ იგი არ არის ვარჯიშობაში, თუ მისს ხმას უყურადღებოდ სტოვებენ, მაშინ ის თან-და-თან იხშება, კრთება, გარკვევით და პირდაპირ ვერ არჩევს, რომელი კეთილია და რომელი ბოროტი, ნამეტურ იმ შემთხვევაში, როცა ბოროტებას მიღებული აქვს მაცთუნებელი გარეგანი სახე სათნოებისა; სუსტად დრეკს მნებელობას კეთილისადმი და მის მიერ დაჯილდოება და დასჯა არ არის მაინდამაინც საგრძნობელი; აქედამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მქონს არ აქვს მაღალი ზნეობრივი შემეცნებანი. წარმოვიდგინოთ სათვალდათვალოთ ზნეობითის გრძნობის დასუსტება. ადამიანს შეიცავს ცოდვითი სურვილი; ეს ცდილობს დაატყვეოს მისი მნებელობა და მიმართოს იგი ცოდვით მოქმედებისადმი. სინიდისი მაშინათვე პირდაპირ და გარდაჭრით ეუბნება ადამიანს, რომ ამა და ამ საქმის ჩადენა მას არ შეფერის. მაგრამ იგი არ უგონებს მას და ბოროტებისადმი განეწყობა. და ასე იქმს იგი დღეს, ხვალ, ზეგ, ყოველ კვირაში, ყოველ თვეს, ყოველ წელიწადს. რაოდენიმე ხნის შემდეგ სინიდისი, რადგან იგი მუდამ შეუსმენელი რჩება, ნელ-ნელა სუსტდება, ზანტად ცხადყოფს თვისს მოქმედებას, მნებელობას სუსტად დრეკს სათნოებისადმი და ყოველთვისაც კი არ აღამაღლებს ხოლმე თვისს ხმას. ასეთი დაუძლურებული სინიდისი პირისაგან, მემკვიდრეობით— კანონის ძალით, გადადის მის შთამომავალზე. ესეც თვის ბიწიერ მისწრაფებათა უფრო ემორჩილება, ვიდრე სინიდისსა, და ამის გამო სინიდისი რჩება გაუვითარებელი, და იგი უფრო და უფრო სუსტდება. იმისგან ასე დაუძლურებულ სინიდისს იმკვიდრებს მისი შვილი, რომელშიდაც ის კიდევ სუსტდება, და ამნაირად შორეულ შთამომავლობაში სინიდისი ხდება დაჩლუნგებული, დაბნელებული; ის ნათლად ვერ აჩვენებს, რა უნდა ქმნას ადამიანმა და რას უნდა ეკრძალოს, რა სასარგებლოა მისთვის, და რა მავნებელია, და ხშირადაც კეთილის და ბოროტების დროს იგი არ მოქმედებს. ადამიანები ასეთ დასნეულებულ სინიდისის მშლობელნი იმ კითხვის გარჩევის დროს, თუ რა შეშვენისთ მათ, უფრო ხელმძღვანელობენ გონების მოსაზრებებითა და თავმოყვარეობის მოთხოვნილებითა, ვიდრე სინიდისის ჩვენებითა, რადგანაც სინიდისის სუსტი ხმა სულ ერთიანად იფარება გონების და გონებათა ძლიერ ხმითა, და ისინი შეცდომით გონების და თავმოყვარების ხმას სინიდისის წმინდა ხმად ღებულობენ, ამნაირად, ზნეობრივი შემეცნებანი შედგებიან არა მარტო სინიდისის ჩვენებითა, არამედ, ერთ მხრით, სინიდისის სუსტ ხმითა და მეორეს მხრით, და ეს უფრორე, გონების და თავმოყვარების თქმითა. ავიღოთ შემდეგი მაგალითი. ძველ დროში ჩვენ წინაპართ, და ახლაც ზოგიერთ ხალხს, შურის ძიება კანონად ქონდათ დადგენილი. ყველა თვის უპირველეს მოვალეობად რაცხდა გამაუბედურებელისათვის სამაგიერო გადაეხადა. ამ მოვალეობის აუსრულებლობას თან მოსდევდა საუკუნო ქენჯნა-წვალება და ეს შურის ძიების კანონი სინიდისის ხმად ითვლებოდა. რა უნდა ითქვეს ამ შურის ძიების კანონზე? ნუ თუ მართლა იგი სინიდისის წარმონაშობია? სრულებიდაც არა. შურის ძიების კანონი სინიდისმა კი არ შექმნა, არამედ გაუვითარებელმა გონებამ და გაცხარებულ-გაშმაგებულმა გულმა. სინიდისი იმ პირებში, რომლებიც მას მუდამ უყურადღებოდ სტოვებდენ, დაძაბუნდა, დავიდა განვითარების უმდაბლეს ხარისხამდის, თავი დაანება თვისთ მოთხოვნილებათა ენერგიულად ცხად-ყოფასა და ზოგიერთ შემთხვევაში ხმას სრულიადაც არ იღებდა. წარმოვიდგინოთ ადამიანი ამისთანა დაძინებულ სინიდისითა. მას დიდი განსაცდელი მიაყენეს, მოუკლეს საყვარელი არსება. აღიძრა კითხვა, როგორ უნდა მოექცეს იგი მკვლელსა? უძლური სინიდისი დაყენებულ კითხვაზე თუმცა იძლეოდა პასუხს, მაგრამ მისი ხმა სულ ერთიანად ჰქრებოდა მდუღარე და მღელვარე გრძნობათა შორის; ამის გამო ხმა მაღლივი ძალოვანი თქმანი გაელვარებულ გონებისა და გულისა იმარჯვებდენ; ხოლო გონება და გული მოქმედებდენ ისე, როგორც გონებანი შეურაცხყოფილი გაზვიადებული თავმოყვარეობა თხოულობდა. გონებას კიდევ შეეძლო გადაეწყვიტა კითხვა არა ვნებათა თქმისაამებრ, რომ ის ყოფილიყო განვითარებული, რომ ის იმ დროს ამაღლებული ყოფილიყო იმ იდეიამდის, რომ საზოგადო კეთილ-დღეობისათვის საჭიროა, რომ დანაშაულობისათვის პასუხს იძლეოდენ არ დაჩაგრულნი, არამედ ამორჩეული პირები, მაგრამ იმ დრრს გონებრივი განვითარება უმდაბლეს წერტილზე იდგა. ამ გვარად შურს ეძიებდენ მამანი, შვილნი, შვილიშვილნი, მთელ შთამომავლობანი და ამ ნაირად შურის ძიება გავრცელდა, გადაიქცა ჩვეულებად; დროთა ჟამით გამტკიცებულ შურის ძიების ჩვეულებამ დაბოლოს მიიღო კანონის ხასიათი, და მას ხალხნი შეცდომით სინიდისის ხმად სთვლიდენ. თუ როგორ ადვილად შეეძლოთ ჩვენ დაქვეითებულ წინაპართ იმ კითხვის გარჩევის დროს, თუ რომელი კეთილია, და რომელი ბოროტი, ხმა გონებისა და გულისა მიეღოთ სინიდისის ხმად, ამას მოწმობს ის მაგალითი, რომ ჩვენც, რომელთაც უსრულეს ზნეობრივ სწავლის ქონებით თავი მოგვაქვთ, არა ერთხელ ვურევთ ერთმანერთში დაბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულ გონების და გადაკარებებულ თავმოყვარეობის თქმათა, ერთის მხრით, და სინიდისის ხმის, მეორეს მხრით. მოგვიკლეს ძვირფასი მამა. სინიდისი გვიბრძანებს დიდ სულოვნება გამოვიჩინოთ და დამნაშავეს სიყვარულით ვაპატიოთ. მაგრამ შებღალული თავ-მოყვარეობა და ნატკენი გრძნობა განწყობილებისა მშობლისადმი არ ისვენებს, შფოთავს და თხოულობს სამაგიროს გადახდასა. უკანასკნელი ხმა უფრო ძლიერად ისმის ჩვენში, ღრმად და სულ ერთიანად გარემოგვიცავს და სინიდისს გვიხშავს. ამის გამო ჩვენ სინიდისის წყნარი ხმა არ გვესმის, და შეკადმით ის ხმად ვლებულობთ მამისადმი სიყვარულის აღელვებულ გრძნობის თქმასა, და სიტყვები: სინიდისი მტანჯავს, მოსვენებას არ მაძლევს, ხშირად ამოდის ჩვენ პირიდან. მაშინ, როდესაც გონებანი დროებით დაგვიცხადებიან, და სინიდისს ყურს მივაპყრობთ, გავიგონებთ მასს სიყვარულით აღსავსე ხმას პატიებაზე. შემდეგ, მრავალი ფაქტები ცხადად გვიჩვენებს, რომ სინიდისი ჩლუნგდება არამც თუ მთელს თვის ერთიანობაში, არამედ კეძოოობაშიდაც კი ზოგიერთი მხრით. ერთი მხრით იგი ენერგიულად და ჯეროვნად მოქმედებს და სხვა მხრით კი სუსტად მოქმედებს. ავ ხორციოვანი ადამიანი ბევრ ქალს ნამუს ხდის, და სინიდისი მას მაინდამაინც არ აწუხებს; და ესეც უხორციოვანს არ შეუძლია ეინმეს სასტიკად მოექცეს, ის მეტის მეტად მგრძნობიარე ᲗᲔ გულ-კეთილია. ინკვიზიტორები დამშვიდებულის სინიდისით ყრიდენ ხალხს ცეცხლში, ხოლო გარყვნილებას ვერ ითმენდენ და მის დანახვაზე ბრაზდებოდენ.

ზემო თქმულიდამ სჩანს, რომ ზნეობრივი შეგრძნებანი, შედგენილნი მხოლოდ დასუსტებულ და ბუნებრივ ძალთადები დამონებულ სინიდისის ჩვენებაზე, არ იქნებიან მაღალნი, წმინდანი; და აქედამ, ამ ზნეობრივ წესთამებრ მოქმედეი ვერ გახდება სეტაკ ზნეობის მქონე ადამიანი კაცის თანაარსი ზნეობრივი კანონი ცხადყოფს თვისს მოქმედებას სისრულით და ძლიერებით, არ იქნება გონების და გულის ზედგაელინის ქვეშე, გახდება შეულახველი და შეურყეველი და აღიყვანს თვასს გამგონს—აღმსრულებელს სრულ ყოფის უმაღლეს საფეხურებზე მაშინ, როდესაც იგი განათლებულ იქნება რელიგიითა. რელიგიაგაში კაცს მოკემული აქვს უმაღლესი ზნეობრივი კანონი, კანონი, რომელიც თვის არსით და შემცველობით ერთიანად ეთანხმება ბუნებრივ ზნეობით კანონსა, მხოლოდ განთავისუფლებულსა ენებათა დამღუპველ გავლენისაგან. ღვთაებრივ კანონის არსებობასთან ადამიანს მეტი არღა რა რჩება რა, რომ უნდა მიიღოს იგი შეუეცვლელად, ერთიანად და უნდა დაემორჩილოს მას; და ეს მისთვის რომ კანონი ესე, როგორც წარმომდგარი უმაღლეს არსებისაგან, არის განუსაზღვრელი სისრულე, ᲙᲣᲛᲨᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ და სიწმინდე. სარწმუნოების ზედგავლენის ქვეშ მყოფ ადამიანის სინიდისი გამოცხადებულ ზნეობრივ კანონის მიერ ნათლდება, ემატება თვის უფლება, იმრუნებს დაკარგული ძალას და თვით სუბიექტს ამის გამო ძალუძს სრულ ყოფის უმაღლესი ხარისხთა მიაღწიოს.

მესამე, ხელმძღვანელის მარტო ბუნებრივ ზნეობით კანონითა და ფარმყოფელს სარწმუნოებისა, არა მქონს შემეცნებისა ყოველთა მხილავ, ყოველად სახიერ არსებაზე, ბედნიერების წყაროზე, არა მქონს სურვილისა მასთან მიმგზავსებისა და შეერთებისა, ძნელად ექნება მტკიცე, შეუდრეკელი მიძღუნებელი ძალა მარად სინიდისისამებრ მოქმედებისა. ამისთანა ადამიანი ჩვეულებრივ იქმს კეთილსა იმ შემთხვევებში, როცა მისი საქმეები დაინახვნა მათზე იღაღადებენ და მას დფნის გვირგვინს თავზე დაადგმენ; იმისთანა კეთილ საქმეს კი, რომელიც სხვებისთვის შეუმჩნეველი დარჩება, ის ძვირად იზამს. ის თავს დაიპერს იმ ბოროტებისაგან, რომელიც გამოკვეფდება და აგონებს მას, რაიმე უბედურებას დაატეხს თავზე; იმისთანა ბოროტებას კი, რომელიც მას ადვილად ჩაუვლის, სხვის ყურადღებას არ მიიქცევს და მას საგრგლოსაკაც მოუტანს, ის არ ერიდება. ანუ თუმც ადამიანი ურელიგიოთაც იცხოვრებს სინიდისისამებრ ყოველთვის, ხილულადაც და ფარულადაც, მაგრამ მაინც მისს ზნეობას არ ექნება ისეთი სიღრმე, სიფაროთვე, სიმხურვალე, მუდმივობა, სიმტკიცე, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ რელიგიის ზედგავლენს ქვეშ. ის მაკადინი იქნება მხოლოდ იმაზე, რომ მან თვის გარეგან ცხოვრებაში, საზოგადოებასთან და ოჯახთან განწყობილებაში ცოდვა არ ჩაიდინოს, და თვის შინაგან მსოფლიოს სიწმინდეზე კი ძნელად იზრუნვებს; თუ მის გონებაში ძნელი აზრები ტრიალებენ, და მისი გული ბიწიერ გრძნობებით არის მოცული, ის ამაზე მაინდამაინც არ წუხს და არ თვლის საჭიროდ მათ განგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნასა თვის მუნ ებისგან. ის სიკეთეს გამოიჩენს მხოლოდ მახლობელთადმი; იმ პირებზე კი, რომელნიც მასთან დაკავშირებულნი არ არიან ანუ ნათესაობითა, ანუ ნაცნობობითა, ანუ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ერთიანობითა და ადგილით დაშორებულნი არიან მასზე, ის იშვიათად იფიქრებს. ის შეიმგრებს თავს მხოლოდ მანამდის, სანამ კარგ გარემოებებში იქნება, ხოლო როდესაც მას მძიმე განსაცდელი ეწვევა, მაშინ იგი უძლურ გახდება მუდმივ-ელად დადგრომად კეთილ ცხოვრებაში. ის მიუხედავათ თვის კეთილ საქმეთა, ღრმა და შეუცვლელ კმაყოფილებასა და სამუდამო სიხარულებასა ვერ მოიპოვებს.

დაბოლოს, ისტორია გვიმტკიცებს ზნეობის დამოკიდებულებასა რელიგიაზე; ყველგან სარწმუნოების დაწევას ერში თან მოსდევდა ზნეობითი დაცემულება.

დიდ, ზნეობა მიუკილებლად შეერთებული უნდა იქნეს რელიგიასთან; უკანასკნელი აძლევს მას სიწმინდეს, სივრცეს, სიმტკიცეს, სიცხოველეს და სიმხურვალეს. მორწმუნე ადამიანს რწამს, რომ ღმერთი ყოველივე მისს საქმესა, ხილულსა და უხილავსა ზედავს, ის გამსჭვალულია ღვთისადმი ღრმა სიყვარულითა და საჭიროდ რაკს მუდამ მისი ერთგული, გამგონე იყოს და ამის გამო ის მუდამ იქცევა ზნეობრივ კანონისამებრ, რომლის ასრულებას ღმერთი თხოულობს. ის ბოროტებას ერიდება არა მარტო მაშინ, როცა საზოგადოების თვალი მასზე არის მიქცეული, არამედ მაშინაც, როდესაც მას არ ხედვენ. ის იქმს კეთილს მაშინაც, როცა მას დაჯილდოების მაგიერ მწუხარება და ტანჯვა მოელის. ვერავითარი მცირეოდენი ბოროტება მას ვერ ხიბლავს და ვერ აცდენს. ვერცერთი მძიმე გარემოება მისს ზნეგლობას ცოდვისადმი ვერ დრეკს. ის ბოროტებას ერიდება არა მარტო თვის ხილულ გარეგან ცხოვრებაში, არამედ დაფარულ განზრახვათა სამყაროშიც კი. მისი სიყვარული და ქედი მოქმედება შეიცავს არა მარტო მახლობელთა, თანამამამულეთა და თანამესარწმუნოთა, არამედ მთელ კაცობრიობასაც. და ის ისევება ცხოველ, ღრმა სიხარულითა, ის მუდამ განალიერებული და ბედნიერია.

კ. ჯ.

არქიმანდრიტის ლეონიდეს სახელწოდება და მეპისკოპოსის ხარისხზე აღყვანა.

17 აპრილს, პირველ საათზედ შესრულდა სახელწოდება არქიმანდრიტის ლეონიდესი ეპისკოპოსად. თერთმეტ საათიდან ხალხმა დაიწყო დენა ექსარხოსის სასახლის ეზოში, განსაკუთრებით სამღვდელოებამ, მაგრამ არა ნაკლებ იყო სხვა საზოგადოებაც, რომელ-ც სასოებით მოელოდა ამ დღესასწაულის ხილვას. ჯვარის ეკლესია თორმეტს საათზედ აიესო ორსავე სტვენის კვთაკაენ; პირველის ნასვვრნეგ ეიესო დარბაზი ექსარხოსის სადგომისა, რომელშიაც ეკლესიიდგან არის გასავალი, და მამაკაცთა საზოგადოება ეავიდა დარბაზში, ხოლო ქალთა საზოგადოება დარჩა თვით ეკლესიაში. დარბაზში იდგა ერმელი მაგიდა, ეარს ედგა ოთხი სელი—ორი მარჯვნივ და ორი მარცხნივ. მარჯვნივ ბრძანდებოდენ ეოვლად უსამღვდელოესი ფლავიანე, ექსარხოსი სრულიად საქართველოისა და ეპისკოპოსი ეურიეა-სამეგრელოისა ალექსანდრე, ხოლო მარცხნივ ეოვლად უსამღვდელოესი ვლადიმერი, ეპისკოპოსი კაკეთისა და იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველი, ეპისკოპოსი ალავერდისა ბესარიონი. სადღესასწაულო ცერემონია დაიწყო ამ რიგად: შეიძოსნენ ოთხივ ეოვლად სამღვდელონი მანტიებით და დაიჭირეს თავ-თავისი ადგილი. ჯვარის ეკლესიდან გამოვიდნენ ორი არქიმანდრიტი მანტიებით—მ. სერგეიმი, რექტორი სემინარიისა, და კესარიისი, ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი; მას შემდეგ ეკლესიიდანვე გამოვიდნენ დეკანოზნი: ელიეი და მანსვეტაშვილი,

თაეკვანი სცა ეკრებასს, ლოცვა-კურთხევა მიიღეს, მბრუნდენ და შემოეკვანეს არქიმანდრიტი ლეონიდე, რომელმაც კურთხევა მიიღო ექსარხოსის ფლაბიანესი და ეველა მღვდელმთავართა და ჩადგა მ. სერაფიმეს და ექსარხოსის შუა, უკან ჩამოუდგენენ ხსენებული დეკანოზები, მაშინ სინოდის კანტორის იმერეთის განეოფილების მდივანმა ს. მგალობლიშვილმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტის ლეონიდეს ეპისკოპოსად დანიშვნისა და გადასცა მეორე სიჭაესუნო ბრძანება, რომელიც მ. ლეონიდემ ზეპირად წარმოსთქვა.

ბრძანების წაკითხვის შემდეგ სექართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ გადაიხადა მცირე ჩვეულებრივი წესი, ხოლო საგალობლებს ეოვლად სამდვდელონი ამობდნენ ნელად, ხმა ტკბილად და შეუთბილად.

ამ მცირე ლოცვის შემდეგ, რომელიც ფეხზე წამოდგომით შესრულდა, მთავარ-დიაკონმა სიონის კათედრასამ მ. კონსტანტინე წარმოსთქვა მრავალ-ჟამიერი ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისა, დედისა მათისა, მემკვიდრისა, უწმიდესის სინოდისა და ახლად ეპისკოპოსად სასულწოდებულის არქიმანდრიტის ლეონიდესი. დასი ექსარხოსის მგალობელთა შეუთბრად იმეორება მრავალ-ჟამიერსა და ლეონიდეს ხსენების დროს ქართულად სთქვეს მრავალ-ჟამიერი.

როცა სასულწოდების წესი სრულიად დამთავრდა, ახლად სასულწოდებულმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელითაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. მოგვეყავს ამ სიტყვის შინაარსი მოკლედ.

ბავშობიდანვეო, სთქვა ახლად სახელწოდებულმა, მტკიცედ მრწამდა, რომ ადამიანის ბედნიერებას უფალი განაგებსო. ეს ჭეშმარიტება მე მუდამ ჩაბეჭდილი მქონდა გონებაში და განსაკუთრებით კი ამ წუთს არის იგი ჩემში ცხოველად, როდესაც მე, ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა ღირსი გავხდი უმაღლესი საეკლესიო მსახურების ხარისხისაო. მრავალი ჩემი წინაპარი ეკკლესიის ემსახურებოდა და მე დავიბადე ისეთ ოჯახში, სადაც მე ღრმად შევითვისე ქრისტიანული კეთილ-მსახურების გრძნობა და სადაც მიმაჩვიეს ღვთის ტაძარში სიარულს, მოწიწებით დგომას, ვალობას და კითხვას, და სახლში კი წმიდა ეკკლესიურ წესების ასრულებასაო. შემდეგ როცა 8 წლის ყმაწვილი სკოლაში მიმიბარეს, იქაც გამიჩნდა კეთილი მფარველი და ვიმყოფებოდი იმ ჩემი მონათესავის წმინდა მამის გაელენის ქვეშ, რომელიც დღესაც მნათობია ქრისტეს ეკკლესიისაო. ეს წმიდა მამა შეიქნა ჩემ მეორე მშობელად და მან კიდევ უფრო განმიცხოველა მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სიყვარული და ის სურვილი, რომ მეც გავმხდარიყავი ეკკლესიის მსახურად. მაგრამ რადგან მსურდა, რაც შეიძლება, უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ჩემი სამსახური ამ ასპარეზზე, ამის გამო აღვინთე იმ სურვილითაც, რომ მიმეღო უმაღლესი განათლებაო. ამისრულდა სურვილი, შევედი კიევის აკადემიაში და იქაც ისეთი ღვთის მოსავი უფროსები გამიჩნდნენ, რომელთა ცხოველმყოფელ გავლენის ქვეშ მე სრულიად წარმ შეუხრელად გადავწყვიტე მიმეღო მონაზნობა და კიდეც აღვიკვეცეო. ხოლო მან ყოველად მოწყალე ზეციერმა მამამ, გამიწია მე ხელმძღვანელობა აკადემიიდან გამოსვლის შემდეგაც, მისი ბრძნული განგებით მე წილად მხვდა ბედნიერი ხვედრი აღმედგინა ცხოველი ღვთის სიტყვით ჩემი მონათესავე კავკასიონის მთების მცხოვრებნი და გამეწია ხელმძღვანელობა მათი შვილების ქრისტიანულ აღზრდისათვის, ხოლო ამ მოვალეობის ასრულებამ დამაახლოვა, შემახორცა და შემასწავლა იმ ხალხის სულიერი არსება, რომლის სასამსახუროდ გაწვეული ვარ ამ ჟამად უმაღლეს თანამდებობაზე თვითმპყრობელის ბრძანებითაო. მე ნათლად ვხედავ, რომ ჩემ ძალ ღონეს აღემატება ეს თანამდებობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ეიმბოტ უარს ამ მძიმე ტვირთის ზიდვაზე, რადგან ეს თანამდებობა მე უმაღლესი ბრძანებით მომენდო. „ვმადლობ უფალს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მარგუნა სამსახური სამშობლო და ნაცნობ ქვეყანაში, ის ქვეყანაში, რომელიც ქველიდანვე ცნობილია ქრისტეს წმიდა მოძღვრების შეურყეველ მომხრედ და მწვალებლობისა და ცრუ მოძღვრობისაგან სრულიად თავისუფალ ქვეყნადაო». დასასრულ ახლად სახელ-წოდებულმა მადლობა შესცხენა შეოქმედს ისისათვის, რომ ბრძენ და გამოცდილ მწყემს მთავრის ხელმძღვანელობის ქვეშ მარგუნე საეპისკოპოსო ასპარეზზე სამსახურო, და ამასთანავე სთხოვა ყველა დამსწრე მწყემს-მთავრებს და მამებს, შეავედრეთ ჩემი თავი უფალს თქვენს ლოცვებშიო».

კვირას, 19 აპრილს, სიონის საკათედრო სობორო-ში ხელ-დასხმულ იქმნა არხიმანდრიტი ლეონიდე გორის ეპისკოპოსად. ათი საათის 15 წუთზე მობრძანდა მაღალ ყოვლად უსამღვდელესი საქართველოს ექსარხოსი ფლამიანე და მცირე ხნის შემდეგ დაიწყო ხელ-დასხმის წესი. საქართველოს ეპისკოპოსის მარჯვენით დაბრძანდა ეფლადიმირი, ეპისკოპოსი კავკაზისა, მარცხნე-კი ალეკსანდრე, ეპისკოპოსი გურიასამეგრელოისა და ბეგსარიონი—ალავერდისა, დროებით მმართველი იმერეთის ეპარქიისა. მთავარ-დიაკონშა კარგარეთელმა სამჯერ განცხადა უმაღლესი ბრძანება არხიმანდრიტის ლეონიდეს ეპისკოპოსად დანიშვნისა. ყოველ განცხადების შემდეგ ექსარხოსის მოწოდებით ახლად ეპისკოპოსად ხელ-დასხმული ალიარებდა სიმშოლოს სარწმუნოებისას და სდებდა ფიცს ერთგულებისას სარწმუნოებისა და ხელმწიფე იმპერატორის წინაშე. ამის შემდეგ მრავალ-ჟამიერი წარმოსთქვეს ხელმწიფე იმპერატორის, იმპერატრიცებისა და მემკვიდრე ცესარევიჩისა და აგრეთვე ეპისკოპოსად ახლად მოწოდებულის არქიმანდრიტის ლეონიდისა.

მ. არქიმანდრიტ ლეონიდეს ეპისკოპოსის ხარისხზე აღყვანა სწორეთ განსაკუთრებული რამ იყო. მრავლისაგან მრავლად მოსული დამსწრე ქართველი მღოცველები გულწრფელის თანაგრძნობის და ნამდვილი აღტაცებით იყვენ გამსჭვალულნი. როგორც დამსწრე ქართველობა აგრეთვე დანარჩენი მისი თანამწყვერნი ყველანი ერთად და ერთნაირად გრძნობდენ სიდიადეს ამ აღტაცებისას. ძვირფასად მისამჩნეელი უნდა იყოს ყველგან და ყველასგან ამ გვარი მაგალითი, როგორც ჭეშმარიტი და უტყუარი ნიშანი აღრჩეულის ნიჭიერების და ვარგისობის იმ გვარ რთულ და ძნელ დანიშნულების ასპარეზზე როგორიც არის ეპისკოპოსობა. ჩვენ ვუერთდებით ჩვენ თანამოძმეთა საყოველთაო აღტაცებას და ვეგებებით სულით და გულით ამ ფრიად სასიამოვნო მოვლენას.

გიორგობა

წმიდაო გიორგო,
ქართველთა მეფეო,
ვვედრით, არ დავეკარგო.
საერო თქმ.

ჩვეულება განადიდ რჯულთ უმტკიცესი ყოფილა! როგორაო? მეკითხავთ. მოგახსენებთ.

ნეტარხსენებულმა ანტონ კათალიკოზმა 1781 წელს მოინდომა „შემუსვრა ქართველთა იმ ჩვეულებისა, რომლის ძალით დიდ-შვენიერად იდღესასწაულების წმ. გიორგის ხსენება 10 ნოემბერს. ეს ჩვეულება შეაჩვენა და საეშმაკო უწოდა მას. წმ. გიორგის ხსენებას ბერძენთა ეკალესია დღესასწაულობს მხოლოდ 23 აპრილსო და „ჩვენ რა მიზეზით ვადიდებთ მას ათ ნოემბერსო! ამიერიდგან ნუღარამც იხსენების ეს საეშმაკო ჩვეულება საქართველოშიო (იხ. სამ. თთუენი 1781 წლისა).

ასეთი განჩინება განაჩინა რიხიანმა კათალიკოზმა ამ 127 წლის წინად, გარნა, „საეშმაკო ჩვეულება“ ჩვეულებად დარჩა. მამა პაპათა გარდმოცემანი, განმტკიცებულნი დრო ჟამთა და საუკუნეთა განმავლობაში და სიწმიდედ გამხდარნი, ისე ადვილად ვერ წარიხოცებიან, როგორც ამას მოელოდდა თავისებური «ღრამატიკის“ მომგონი კათალიკოზი...

წმ. ძლევამოსილი მთავარ-მოწ. გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერს რომ ქრისტეშობის თვე ჰქვიან, აგვისტოს მარიამობისა, ივლისს კვირიკობისა და ივნისს ივანობისა, ეს იმიტომ, რომ ამ თვეში მოდის დიდი დღესასწაულები: შობა ღვთისა, მიძინება მისის მშობლისა, შობა მისის წინამორბედისა, წმიდა მისის აღმსაღმლის კვირიკესი და ივლიტისი (15 ივლისს).

უეჭველია, ნოემბერსაც უმიზეზოდ არ დაერქმოდა გიორგობა ანუ გიორგობისთვე.

კაბადოკია, საცა, ახალის გამოკვლევით, ესახლა ქართველთა ტომ-მოდგმის ერი, პირველ საუკუნიდგანვე ითვლებოდა ქრისტიანობის სატფურად. ხოლო მეორესა და მესამე საუკუნეში აქ უკვე ჰბრწყინავდა ქრისტიანობა და წარმართ იმპერატორების უდიერი დევნულება უმტესის შარავანდედით ჰშოსადა კაბადოკიის ეკკლესიას.

დედა ჩვენი წმ. ნინო და, როგორც გვაუწყებს ძველი გადმოცემა, მისი პიძაშელი წმ. გიორგი ამ კაბადოკიადგან იყვნენ. გიორგი იყო უძლეველი და ახოვანი მხედარი ქრისტესი. მრავალფერის ტანჯვა-წამებით წარეკვეთა მას თავი ფიროლერიანეს მიერ (184—304 წ.). ამის შემდეგ წმ. ნინომ მოაქცია წმ. მირიანი ერითურთ (118 წ.) და მას ეამითგან

«განუსაკუთრა (ნინომ) წმიდა გიორგი ღვაწლ-დადებულსა და მოკვეცულსა თვისსა ერსა და ადუღდა სჯულდა. რათა სხვათა შორის წმინდათა აქვნდესთ უმეტესი სასოება და სურვილი წმ. გიორგისა, ვინაითგან განგებულებითაცა ზეგარდმოითსა «გიორგიელად» წოდებულ იყვნეს ოგონი [ქართველნი] უწინარეს ეამითგან (თეიმურაზის ისტ., გვ. 19).»

მეერითგან

„წმიდამან ნინო, სათნოყოფითა მეფისა და მთავართა მისთა და ერისა მისისათა, განუწესნა და მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმ. ამის თავარ-მოწმისა გიორგისისა და ეგრეთვე ყოველთა ზედა საპურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა და იქმნა სახეჲ მისი შეწყნარებელ პირველ ორდენად ქართველთა სახელმწიფოსა»

[იქვე] და ვინაჲთგან ქართველთა პირველსავე ეამსა მოქცეეისა თუსისასა აღირჩიეს მოწმად ესე უალრეს სხვათა წმიდათა **მფარველად** თესად, იწყეს და აღაშენნეს... ტაძარნი... სახელსა ზედა წმიდისა ამის მთავარ-მოწამისა, ვითარცა:

«წმ. გიორგი აღაეერდისა. წმ. გიორგი კალოუბნისა. წმ. გიორგი ილორისა. წმ. გიორგი ქვაშოეთისა. წმ. გიორგი ბოჟორმისა. წმიდა გიორგი ჩხარისა. წმიდა გიორგი უსანეთისა. წმიდა გიორგი მრავალძლისა. წმიდა გიორგი ზუგდიდისა. წმიდა გიორგი გორისაჯვრისა. წმიდა გიორგი სარკისა. წმიდა გიორგი სასირეთისა. წმიდა გიორგი ქარისა. წმიდა გიორგი კავთისა. წმიდა გიორგი გიორგიწმინდისა. წმიდა გიორგი ოძრხისა. წმიდა გიორგი ატოცისა. წმიდა გიორგი სვანეთისა. წმიდა გიორგი ქობულეთისა, წმიდა გიორგი ჯიქეთისა. წმიდა გიორგი ალანეთისა. წმიდა გიორგი პანკისისა. წმიდა გიორგი სადგერისა. წმიდა გიორგი კლარჯეთისა. წმიდა გიორგი დამასტერისა. წმიდა-გიორგი დანახვისისა, თეთრ გიორგი ქურმუხის გიორგი» და მრ. სხ. (იქვე).

ზემოსა და ქვემოსა ეეერიასა შინა თქმულ არს ესრეთ და ყოველნი ერნი სწამებენ, რომელ ოდეს ეწამა თავარ-მოწამე გიორგი, მიიღეს ხორცთა მის წმიდისათა წულულებანი სამას-სამეოცდა ხუთნი და ამა მიზეზითა ერთი ეეერიისათა ესეოდენ რიცხეი ეკკლესია და მონასტერნი აღაშენეს; და ესეცა თქმულ არს ერთა შორის, რომელი თითოეულსა შინა დღესა წელიწადისასა აღესრულების თითოეული სასწაული მისი მოუკლებლად (იქვე, 20).

ამავე ძველს ჩვეულებაზე აფუძნებს თავის თავისს ჩვენდამი სავალდებულო განკარგულებას ისეთი უძრავი სეტტი საქართველოს ეკკლესიისა, ვითარიცა არის ჩვენი მნათობი გიორგი მთაწმინდელი. მის მიერ ბერძნულიდგან თარგმნილს დიდს სვინაქსარში, რომელიც იწოდება გვირგვინად საყდრისა, ეკითხულობთ:

„ამასვე: დღესა: (10 გიორგობისთვეს] წმიდისა: მოწამისა: გიორგისი: ურმის: თუალსა: შესლეაჲ: რაეამს: დაჰკრეს: ეგი; ურმის: თუალსა:. წმიდანო: მამანო: ამას: დღესა: დაღაკეთუ: ბერძენნი: წმიდისა: გიორგისთჳს: არა: დღესასწაულობენ: «არა რაჲ არს ყენებაჲ: რათა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ: რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეულებაჲ: ხოლო ესე საცნაური არს:. რომელ თავადი დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმ. გიორგისი: აპრილსა: კგ: არს: და აწ რომელნი სდღესასწაულობდეთ: განგებაჲ ყოველი აპრილსა: კგ: მოიძიეთ:".

ამ „დიდ სვინქსარის" სამი, ტყავზედ ნაწერი, ვარიანტი (№№-ები: 222,193 და 97) შეეცისწავლეთ და ყველაში ასე სწერია. და ეს ნაწერი ეიგინდარა კაკის სიტყვები კი არ არის, არამედ არის უბრწენელი ძეგლი, დამყარებული ერის უბრწენელსავე ჩვეულებაზედ, როგორც ჰმოწმობს თვით ამ ნაწერის ავტორი წმ. გიორგი მთაწმინდელი.

მთავარ-მოწამის გიორგის ურმის თვალზედ დაკერა ასე ყოფილა [ეს ადგილი მოგვეყავს გიორგი მთაწმინდელისაგე თარგმანით; იხ. № 222, გვ. 284—288):

«და მერმე (გიორგი) ურმის თუალსა ზედა დაჰკრეს, აღმზადებულსა სიმრავლითთა მახულითთა, და შთასაქანელსა გუერსსა შთაგორეს; რომელისა მიერ ყოველი გუამი მისი დაიპრა მრავალ ნაწილად. არამედ კუალადცა განიკურნა მოსცალითა ანგელოზთითა ღუთისაჲთა, და განახლებული და ბრწყინვალე წარდგა წინაშე მეფისა და მგზენტრიოს მეგობრისა მისისა; და მრთელად გამოჩინებითი მით მრავალნი მოიტაცნა ქრისტეს სარწმუნოებად, რომელითაცა წამეს ქრისტეესთჳს და მახჳლითა აღსასრული მითთაჳლეს, რამეთუ გარეგან ქალაქსა თავნი მაონნი წმიდანი წარეკუეთნეს".

მთავარ მოწამე გიორგის ცხოვრება ძველიდგანვე დასურათ-ხატებული ყოფილა საქართველოს ეკკლესიის მიერ. იგულისხმეთ ხატი, რომელზედაც გამოსახულია თეთრს რაშზედ მჯდომარე ჩაფხუტ-ჯაჭვნიანი მხედარი, შემმუსრავი გველისა, ანუ ილორის წმ. გიორგის ხატი, რომლის ქვეშე აწერია: „აქა წმ. გიორგიმ მკუდარი ხარი აუყენა მგზენტრიოს».

მაშასადამე, ათ ნოემბერს დღესასწაულობა გიორგობისა არა ყოფილა «საეშმაკო ჩვეულება", არამედ აგრედ წოდებული ადგილობრივი წესი და უქმე, ხოლო ეს ადგილობრივი უქმეები შეწყნარებულია თვით აწინდელის სასულიერო მთავრობისაგანაც.

დიახ, გიორგობა არის უსაღვთოესი ანდერძი ჩვენთა მამა პაპათა, რომელნიც მთავარ-მოწამე გიორგის ჰბაძავდნენ მხედრობაშიაც და, თუ მამულიშვილობა და ქრისტიანობა მოითხოვდა, მოწამეობაშიაც. („ივერია")

საეკლესია-სამრეველო სკოლების მასწავლებლები და მათი მდგომარეობა.

ბევრჯელ ამოგვგიჩოხავს ეკურნალ-ვაზეთებში, რომ სოფლებში მასწავლებლები დიდ ტანჯვა-წვალებაში არიან და ბევრს ითმენენ ნივთიერადო. საეკლესია-სამრეველო სკოლებში არის დადგენილი თვითეული მოსწავლეზე 3—5 მ.ნთამდის წ�-ური სასწავლო ფული, მაგრამ უმეტესი ნაწილი არ იხდის ამ დადგენილ ფულს; ერთი წუეტა დარიბები არიან და როგორც კი შემოვლენ სკოლაში, მაშინვე აცხადებენ, რომ „ჯარიბები ვართ და უსასყიდლოთ გვასწავლეო", მეორე წუეტა მეძალებულია და აღთქმას იძლევა, რომ სასწავლო ფულს თავის დროზე შემოიტანს; ამასთანავე გთხოვენ მოსწავლეთა მშობლები: «სასწავლო ნივთი თუ რამე საჭიროა იყოს, მოიუბოეთ ამ ჩემს შვილს, ხვედრ ფასს და სწავლის ფულსაც ერთად შემოვიტანთო». დაიმედებული მასწავლებელიც ეთანხმება. გადის თვე, ორი თვე, ნახევარი წელიწადიც და შეიერებული ფულები არ შემოაქვსთ; ოღოდსაც მოთხოვთ, ეეტუკვინ: «უკაცრავთ, დაგიგვიანეთ, ცოტა კიდეე გვაცალეთო". გადის მეორე ნახევარი წელიწადი, ესე იგი, თავდები კიდეც სასწავლო ფული, მოთხოვთ და ეეტუკვინ: რაგანაც არ დაგვაცალეთ, ესლა ჩვენი ბავში უნდა გავიუვანოთთ». ბავშებს სკოლაში ადარ უშვებენ; ასეთი ხრიკებით გაატარებიეს სკოლაში ბავშს ერთი წელიწადი; წელიური გადასახადი ფულიც დაგიკარგა და ამას ვინდა წუხს—მასწავლებლისგან ნისიოთ წამოდებული და ნავალები ფული თ მოშოებენი სასწავლო ნივთების ფასიც თან წაიდეს და მერე ბმასაც ადარ გეკმეთ. თუ დაგინახეს სადმე, გვერდზე აგიგდიან და მადლობის მაგიერათ შორი-ახლოს საცა-ნთაც აგიგდებენ, რომ მასწავლებელს მთელი წელიწადი თავი გამოულაყეთ ჩვენი ბავშის სწავლებაზე და მერე რიეეზე დავსვითთ». არიან ისეთი მშობლებიც, რომ ფილიდან დაწეებული საღამომდის სულ ქეიფში და ლოთობაში ატარებენ დროს; უბრალოდ კი დახარჯავენ ერთ-ორი თუმანს და სწავლისთვის კი ორი მანეთიც არ ეძლევიანთ; ესეი

ᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲠᲐᲜᲘᲗᲘ ᲘᲪᲘᲚᲝᲑᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲔᲠᲐᲪᲘᲗᲗ ᲛᲐᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲡᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐᲗ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲡᲝᲒᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲛᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲐᲛᲝ ᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲕᲘᲜᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲜᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲜᲘᲡᲮᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲕᲘᲜᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲐᲜᲘᲜᲐᲒᲘ ᲓᲠᲝᲛᲐ ᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡᲔᲑᲘᲗ, ᲗᲝᲚᲛᲐ ᲒᲐᲬᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐᲛᲓᲒᲔᲑᲐ, ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲘᲜᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲝᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘ ᲐᲜ ᲡᲐᲛᲬᲧᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲝᲮᲡᲝᲗ ᲛᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲑᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲩᲥᲘᲠᲗᲔᲑᲘᲗ—ᲠᲐᲢᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲐᲒᲐ ᲓᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲜᲘᲡᲮᲔᲑᲝᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲗ ᲐᲪᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲗ? —ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ ᲛᲝᲒᲐᲑᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡ: «ᲠᲐ ᲕᲘᲗᲔ, ᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲘᲠᲘᲛᲘ, ᲮᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜᲓᲒᲐᲖᲜᲘᲗ, ᲮᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲨᲘᲜ ᲛᲩᲘᲠᲘᲓᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲛᲐ ᲛᲐᲜᲘᲜ (ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ) ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲩᲛᲘᲗ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲪᲐ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲮᲐᲚᲓᲘᲐᲜ. ᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲯᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲪᲘᲡ, ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘ ᲓᲐᲐᲯᲔᲠᲘᲡᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲕᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ «ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ» ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲓᲐ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲛᲔᲠᲛᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲜᲘᲡᲮᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲐᲯᲐᲚᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲝᲗᲮᲝᲕᲘᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲪᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲒᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲠᲓ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲔᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲘᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ,—ᲛᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲝᲕᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲬᲧᲕᲚ ᲙᲘᲡᲘᲠᲑᲚᲘᲡ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲔᲠᲗᲝᲒᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲢᲔᲠᲗᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ, ᲯᲣᲯᲘᲗ, ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲣᲤᲝᲡ ᲒᲘᲡ ᲨᲠᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲘᲕᲘᲗᲘᲡ, ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ; ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲬᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲬᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲩᲝᲛᲝᲕᲒᲚᲔᲚᲘ ᲡᲘᲠᲗᲚᲔᲑᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲠᲓ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲔᲓᲔᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲘᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ,—ᲘᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲜᲔᲑᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲝᲕᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲝᲕᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲣᲬᲠᲣᲜᲕᲔᲚᲔᲡᲘ-ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, (ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲕᲘ) ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲠᲔᲓᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲗ ᲐᲪᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲗ? ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲮᲐᲚᲓᲘᲐᲜ. ᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲯᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲪᲘᲡ, ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘ ᲓᲐᲐᲯᲔᲠᲘᲡᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲕᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲩᲝᲛᲝᲕᲒᲚᲔᲚᲘ ᲡᲘᲠᲗᲚᲔᲑᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲠᲓ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲔᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲘᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ «ᲚᲔᲚᲘᲙᲘ» ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: «ᲣᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲓᲐᲣᲕᲬᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲛ“, ᲘᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲣᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲒᲐᲯᲐᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲮᲐᲜᲓᲔᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲯᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. (ᲘᲑᲘᲚᲘ „ᲞᲐᲢᲠᲐᲠᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ“ Თ. Ჯ-Დ ᲘᲡ, ᲒᲕᲘᲠᲓᲔᲠ 43). ᲗᲣ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲯᲔᲛᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲩᲜᲔᲡᲘᲐ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲣᲬᲠᲣᲜᲕᲔᲚᲔᲡᲘ-ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, (ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲕᲘ) ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲠᲔᲓᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲗ ᲐᲪᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲗ? —ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ ᲛᲝᲒᲐᲑᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡ: «ᲠᲐ ᲕᲘᲗᲔ, ᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲘᲠᲘᲛᲘ, ᲮᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜᲓᲒᲐᲖᲜᲘᲗ, ᲮᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲨᲘᲜ ᲛᲩᲘᲠᲘᲓᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲛᲐ ᲛᲐᲜᲘᲜ (ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ) ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲩᲛᲘᲗ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲪᲐ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲮᲐᲚᲓᲘᲐᲜ. ᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲯᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲪᲘᲡ, ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘ ᲓᲐᲐᲯᲔᲠᲘᲡᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲕᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲩᲝᲛᲝᲕᲒᲚᲔᲚᲘ ᲡᲘᲠᲗᲚᲔᲑᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲠᲓ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲔᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲘᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲛᲔᲠᲛᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲜᲘᲡᲮᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲐᲯᲐᲚᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲝᲗᲮᲝᲕᲘᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲪᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲒᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სამსახური გი სულითა და გულით ჭსურსთ. ასეთი პირაბის წრეში არიან ზოგიერთი სამრევლო სკოლების მასწავლებელნი. ძ ლიან კარგს ინებებს სასულიერო მთავრობა, რომ ეურადღებას მიაქცევდეს სამსახურის დროის რ ოდენობას, თუ ვის რამდენი ხანი უმსახურნია სკოლაში და რა წარმატებით და თვით გ მოიწვევდენ მათ გამოსაცდელათ დდდგენილი «პროგრამმით", მიანიშნებდენ შესაფერისს ადგილ ზე დაეჯილდოებდენ მათ ხანგრძლივი სამსახურისთვის და წარმატებისთვის, მაშინ სკოლები კიდევ უკეთესს ნიადაგზე დადგებიან, თორემ ზოგიერთს რომ ჭკითხოთ, მოგახსენებენ, რომ ოდონდ „პროგრამმით" უნდა დიაშენირო „ეკზამენია" (გამოცდა) და გინდ დიდი ხნ ით ნამ ახური იყავი და გინდ ცოტაო, გინდ კ რგი წარმატებით და გინდ ცუდითო; მაშ ნ ხომ კარგავს სამსახური თავის მნიშვნელობას?!!

ბითურის საეკ. სამ. სკ. მასწ. ბესარიონ ვაშაძე

პალესტინის რტო

(ლერმონტოვისა)

მითხარი, რტოვო პალესტინისავ,
სად იზრდებოდი და სად ჰყვავოდი,
რომელ სერებსა ან რომელ ვაკეს,
დამამშვენებლად თავს დასკეტროდი?!
იორდანისა წმინდა წყლის ნაპირს
მზის სხივი ხომ არ გიალერსებდა,
ლიბანის მთაზედ ღამის ნიავი
გაჯავრებულად ხომ არ გარხევდა?!
ერუსალიმის საბრალო შვილნი,
როდესაც შენსა ფოთლებს დასწვაედნენ,
ძველს საგალობლებს გიიმღეროდნენ,
თუ წყნარს ლოცვასა უფალს სწირავდენ?!
და ის ბზა ეხლაც ცოცხალი არის?!
ეხლაც იწვევს ის უდაბნოის მგზავრს
გასაგრილებლად თვისსა ჩრდილს ქვეშე
სასტიკის სიცხით დაღლილს, ქედ-დამწვარსა?!
თუ ისიც დასჭანა, რა შენ განშორდი,
შენსავე დარდით ეკვალა ფერი,
და გაყვითლებულს იმის ფოთლებს დღეს
ხარბად ეყრების უდაბნოს მტვერი?!
მითხარი, ვისმა ღვთის მოშიშ ხელმა
აქ მოგიტანა, ამ ჩვენს მიწა-წყალს,
მოწმე ხომ არ ხარ იმის სევდებისჭ!
ხომ არ ინახავ მის ცხარე ცრემლთ კვალს?!
ეგებ ის იყო თავ-დადებული
ალმსარებელი სახარებისა,
როგორც შენ, ციურ დიდების ღირსი
წინაშე კაცთა და ღვთაებისა?!
აწ დგახარ, რტოვო ერუსალიმის,
ოქროს ხატის წინ ფთხილად დაცული
ღვთის მოშიშ კაცის იდუმალ ზრუნვითა,
ვითა სიწმიდის მცველი ერთგული...
მქვირი წყვდიადი, კანდელის
სახატე, წმიდა ნიშანი — ჯვარი...
ყოველივე შენს ახლო-მახლოსა
სიმშვიდით, ლხენით აღსავსე არი.

ილ. ფერაძე.

ახალი ეპნები და შენიშვნები.

ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე, რომელიც მოსკოვში სწავლა დამთავრების შემდეგ პარიეში იყო წასული თავის საექიმო სწავლის განსაგრძობად, ამ ჟამად დაბრუნებულია საქართველოში და მუშაობას დაიწყებს შორაპნის მაზრაში, დაბა ყვირილაში დანიშნებული.

***

შორაპნის მაზრის უმფროსი სტატსკი სოვეტნიკი დ. ტ. ჯაყელი თავისი თხოვნისამებრ დათხოვნილია სამსახურიდან. ამ მაზრის უმფროსად დანიშნულია ნეტკაჩევი ლენკორანის მაზრის უმფროსის თანაშემწე ..

***

გუბის პატარა წყალზე ხონსა და ქუთაის შუა ბორონი გაუმართავსთ, მაგრამ, რადგან წყალი აღარ არის იმდენი, რომ ბორონი ამუშაოს, ღობე გაურაგვავსთ მდინარეში და ამ საშუალებით დაბუგებულ წყალზე ძლივს ძლივობით სამი-ოთხი საჯენის მანძილზე ამუშავებენ ბორონს!! მეპორმები ძლიერ დაღონებულნი არიან მდინარის დაშრობის მოლოდინით·

***

როგორც უწყის საზოგადოებამ, ჩვენი საყვარელი მგოსანი ბ-ნი აკაკი ძლიერ ავად იყო ამ რამოდენიმე ხნის წინად. მარტის ბოლო რიცხვებში გორიდან მომავალს ყვირილაში ეგრძნო ცუდად თავის თავი და მოეშურებინა ქ. ქუთაისს თოფურიას საავადმყოფოსაკენ. აგერ ხუთი კვირაა, რაც ბ-ნი აკაკი არის ხსენებულ საავადმყოფოში, სადაც მას საუკეთესო და ერთგულ მოვლას არ აკლებენ, პოეტის ავადმყოფობა საკმაოდ მძიმე იყო და ამიტომ ექიმი ბ-ნი თოფურია ყოველ გვარ ღონეს ხმარობდა მის ავადმყოფობის შემამსუბუქებელს. საჭიროდ იყო მიმჩნეული მოესპოთ პოეტისათვის ყოველივე ის, რასაც კი შეეძლო მისი აღელვება, რამდენათაც ეს შესაძლებელია ჟურნალ-გაზეთების, სხვა-და-სხვა წერილების ჩამოშორებით და წერის აკრძალვით. ავადმყოფობასთან ერთად ეს გარემოებაც ძალიან შემაწუხებელი არის ბ-ნი აკაკისათვის, რომელსაც სურვილი და ხალისი წერის თითქო მით უფლო მოსჭარბებია, რამდენადაც გარემოება ხელს უშლის. თავის ტკივილ-წუხილების მიუხედავად, მგოსანი მაინც არ იშლის ჩვეულებრივ ალმოფრენას, თითქო იქ დაეძებს მისი ცხოველი წარმოდგენა, საავადმყოფოის ერთფეროვანებით დაწუხებული, ზენაარი სიამოვნების წუთებს: პოეტს კიდეც დაუწერია ნამალევად ერთი მშვენიერი პოემა აფხაზეთის ცხოვრებიდან, რომლის დედა აზრს იგი უძღვნის ალმზრდელებს. დღე-ნიადაგ მრავალი მნახველი მიდის საავადმყოფოში ძვირფასი ავადმყოფის სანახავად და მისი სასიამოვნო საუბრის გასაგონად. ამ თვის პირველ რიცხვებში ბ-ნი აკაკი აპირებს საავადმყოფოდან გამოსვლას, თუმც ექიმებს მაინც კიდევ შიში აქვსთ, რადგანაც პოეტის მდგომარეობა დიდს გამაცადინებულ მოვლასა და თავის შეჩენას საჭიროებს.

ვუნატრით ძვირფას პოეტს მოჯობინებას და მოღონიერებას ჩვენდა სასიქადულოდ და ჩვენი ქვეყნის თავმოსაწონად, იმ ქვეყნის, რომელსაც ჭაბუკობიდანვე მოკიდებული ემსახურებოდა იგი თავის ტკბილის მოდარაჯე და გამაღვიძებელი ჩანგით ალჭურვილი.

***

დაიბეჭდა გასასყიდლად და გამოვიდა სასწავლო ხუცური ჟამნი, მეორედ გამოცემული. წიგნი უყდოთ მშვენივრად შეკრული მავთულით და სქელი ქაღალდის კანით ღირს ექვს შაურად, ყდიანი კი ორ აბაზად.

***

ხშირად მოგვდის წერილები მღვდლის შვილიშვილთაგან, რომ მათ წარადგინეს, სადაც ჯერ იყო, მეტრიკული მოწმობები საპატიო მოქალაქის წოდების მისაღებად, მაგრამ დღემდე კიდევ ვერ ეღირსენ დაკმაყოფილებას. და ზოგს კი პირდაპირ უარი გამოეცხადა.

ამ პირთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ საპატიო მოქალაქის წოდების მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მღვდლის შვილის შვილებს, რომელთა მამები ცოცხალნი იყვნენ 1869 წ. ივნისის თვის დამლევამდე, რადგან უმაღლესად დამტკიცებული კანონი ამ უფლების მიღების შესახებ ხსენებულ წელში გამოიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწ. ელია და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ქვეყნიერ ზნეობაზე

სიტყვა, წარმოთქმული მაღალ-ეოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს მიერ ბზობის კვირას სიონის ტაძარში.

უფალი მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე მიმავალი ნებითა თვისით ვნებად თვისად, «ოსანნა»-ს ღაღადისათა შედიოდა ოდესღაც იერუსალიმად, აღსავსე დიდის ზრუნვითა დაერდმილისა ადამიანისათვის და იმად, რომ შთაენერგა გულთა შინა ადამიანთა, ჯვარცმის ვნებითა თვისითა, სიყვარული და მშვიდობა უფლისა.

აწ, დღესა წმ. ეკკლესიის მიერ უფლისა იერუსალიმად გამომჩენენებთ შესელისა დღესასწაულისასა, მეცა, ულირსი მსახური ქრისტესი, ვიწყებ მსახურებას ქართულის წმ. ეკკლესიისა, აღსავსე მწყემსის ზრუნვითა თქვენისა ცხოვრებისა და საუკუნო ნეტარებასა შინა შესელისათვის. გარდმოავლინოსმცა უფალმა კურთხევა თვისი წინამდგომარეს საქმესა ჩემსა და აღასრულოსმცა კეთილნი სურვილნი გულისა ჩემისანი თქვენდა სულიერად მოსაწყობად!

არა ვიყავ მოკლებული ძრწოლისა სულისასა, შემორავიდოდი ამა, აწ ჩემთვის მშობელსა, ძველსა ივერიის ქვეყანასა, რომელშიაც აქამომდე ყველი მისს ეტწმენენ ტაძარსად მორწმენე შეელსა გულსა შინა გაისმის წმ. ნინოს მოციქულებრივი ხმა, მაუწყებელი სასიხარულო ამბავთა ქვექნის მხსნელისა, სახარების მოსმენისა, სასწაულთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მაცხოვენელელ და მხსნელ ენებათა, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. ეს ჩინებული ქვეყანნა მორწყულია წმ. მოწამთა სისხლით, ეს ქვეყანა აღსავსეა ჯრავალისა წმიდა აღთქმათა და ძველთა გარდმოცემათა: ძველთა ტაძართა და წმ. სამყოფელთა დიდებულნი ნაშთნი უსიტყვოდ, მაგრამ ყოველსა სიტყვაზე ძლიერად გვამცნენენ სარწმუნოების იმ დიადსა ძალასა, რომელიც აკავშირებდა ძველსა საქართველოში მეფეთაცა და მდაბიოთაცა ღვთისა ერთ დიდებულ სამეფოდ, დაუთრგუნველად უხილავ მტერთა მზაკვრობათაგან. ვით მთის ნაკადულნი, რომელიც ჩქრთის ბროლისებურ წმინდის ცვარით და თვისთა ტალღათა შორის შთაინახავს მზის სხივის სხვა-და-სხვა ფერსა, ეცემა მთათაგან და სწრაფად მდინაარეებს ველსა ზედა, განაკოცხლებს და სასტიკსა კლდეთა მისთა მშვენიერისა მთის ყვავილებით განაშშვენებს, ეგრეცა საქართველოს წმ. მართლ-მადიდებელი სარწმუნოება, ზეცადგან ქვე-დაცემული წმიდასა გულსა შინა მოციქულთა სწორის ნინოსასა, საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე და მწუხარე ფურცლებზედ სახარებრივის სხივებითა ჰბრწყინავს, შთაისახავს თვისსა, შინა ყოველად მოწყალესა ღმერთსა, განაკოცხლებს საქართველოსა და განამშვენებს საქართველოს და მისთა მოსაზღერე ქვეყანათა ერთგულთა შეელთ ქრისტეანებრივის სათნოებითა. მე ეხლაცა ვეკერტ ამა წმიდა სარწმუნოებასა. იგი ანთია ბრწყინვალე ლამპრად გულთა შინა თქვენთა, იგი ჰბრწყინავს თვალთა შინა თქვენთა, მან მოგიყვანნეთ ამა წმ. ტაძართა, რათა პირველ ილოცოთ ჩემთან ერთად, იგი გაიგულებთ გულ მოდგინეობით მიაპყრათ ყური სამლოცველო სიტყვათა, იგია საუკეთესო თავმდები თქვენის სულიერად ცხოვნებისა, იგია სასოება და იმედი ქრისტეს ამა ქართულსა საძოვრისა ზედა ჩემისა საწმუენსო შრომა მეცადინეობისა. იყოსმცა იგი, წმ. სარწმუნოება, რომელი მცნებად გაქეთ დადებული საქართველოს განმანათლებელის, მოციქულთა სწორის ნინოს მიერ, ქრისტეს წმიდა გრგოლად და ბორკილად შემაერთებელად ჩემისა თქვენდა სიყვარულისა თქვენთა გულთა და ჩემთა მომართ ნდობასათანა. აღმოავლინოსმცა მან გულისა თქვენისა სიღრმეთაგან მარტოოდენ სასიხარულო ღაღადისა: «ოსანა ძესა დავითისასა, ოსანნა მაღალთა შინა». გაშორებულიმეცა იყოს წმიდისა სარწმუნოების მიერ ჩვენის ცხოვრებისა და ურთიერთ არს კავშირისაგან ყოველივე ცუდი, ბოროტი და მზაკვარი. განამრავლოსმცა უფალმა სარწმუენოება თქვენი და განამტკიცოსმცა წმიდამან სარწმუენოებამან გულთა შინა თქვენდა მშვიდობა უფლისა და სიყვარული, რომელი აღთქმად დაგვიდო ქრისტემან მაცხოვარმან: «მშვიდნო, ილოცევდით ჩუტსნთუსცა, და მადლი უფლისა ჩუტსნისა იესო ქრისტესი თქუტსნ ყოველთა თანა. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები ეკკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

„მ. რ! გთხოვთ თქვენი გამოცემის საშუალებით ნება გვიბოძოთ გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე ყველა მათხოჯის სავანის დანებმა ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს და სავანის ეკკლესიის ასაშენებლად ფულები შემოსწირეს. მოგვყავს სია ფულების შემომწირველთა:

პრავიზორი გრიგორი ივანეს ძემ კანდელაკმან 10 მ., ვასილი ლუკას ძემ ჟორდანიამ 3 მ., ელისაბედ შენგელიას ასულმა ბახტაძისამ 1 მ., პავლე გაბრიელის ძემ გეგიამ 2 მ., დიმიტრი მაქსიმეს ძემ კაკაბაძემ 2 მ., გიორგი მაქსიმეს ძემ კაკაბაძემ 1 მ., მიხა ნიკოს ძემ ადამიამ 1 მ., კატო ვარდოსანიძისამ 1 მ., ივანე კოსტას ძემ გეგიამ 40 კ., პეტრე მღვდელმა ჩარგეიშვილმა 1 მ., პეტრე გეგიამ 50 კ., გიორგი კვეკვესკირმან 50 კ., სისო პაპასკირმან 1 მ., ივანე ზოხუბაიამ 1 მ., ლუკა გიორგის ძემ გადელიამ 50 კ., იოსებ პროხოროვიჩმან 40 კ., სტეპანე ხურცილავამ 20 კ., გერასიმე ანდრიას ძე არაგველიძე 50 კ., დარისპანა შენგელიამ 40 კ., კოსტაიამ შენგელიამ 40 კ., სიმონა ივანეს ძემ ხაჟომიამ 1 მ., ბლაღოჩინმა იოანნე ჩხენკელმან 1 მ.

სულ ჯამი შესდგა 26 მ. 80 კ.

რედაქციის პასუხი.

მღ. მი—შვილს. თქვენ იწერებით: „გთხოვთ გაზეთი გამოგვიგზავნოთ და ამასთან შეგვატყობინოთ, თუ წლიური ხელმოსაწერი ფული რამდენი უნდა წარმოვადგინოთ. ფულებს თავის დროზე მიიღებთ». ახირებული წერილის სწორეთ. «მწყემსის» ხელმოსაწერი ფულების რაოდენობა თითქმის სვანებმაც კი გაიგეს და არ გვჯერა, რომ მამა ძიმისტარაშვილმა ამ ხელმოსაწერი ფულების რაოდენობა არ იცოდეს, რადგან რამდენიმე წელიწადი იწერდა იგი „მწყემსს“. რაიცა შეეხება «თავის დროზე» ფულების გამოგზავნას, თუ იანვრის პირველი რიცხვები არა მაისი სწორეთ, „თავისი“ დრო უნდა იყოს!..

მღ. ს. კა—მეს. ნათესავები მოწმათ არ მიიღებიან, მაგრამ შეიძლება, თუ ისურვებენ, უფიცრად ეკითხოსთ საქმე.

მრავალთ. კრედიტი უკვე გაიხსნა სამღვდელოების ჯამაგირების მიღებაზე, ვისაც დღემდისინ ქონდა დანიშნული...

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: მღვდლის სამსახურის სიძნელე წმ. იოანე ოქროპირის სიტყვით.—ზნეობით განვითარებისათვის მარტო ბუნებრივი ზნეობითი კანონი არ კმარა; ამისათვის კიდევ აუცილებლად საჭიროა გამოცხადებული ღვთაებრივი ზნეობითი კანონი.—არქიმანდრიტის ლეონიდის „ნარეჩენიე“ და ეპისკოპოსის ხარისხზე აღყვანა.—გიორგობა.—საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლები და მათი მდგომარეობა.—პალესტინის რტო (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: სიტყვა, წარმოთქმული მაღალყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს მიერ ბზობის კვირას სიონის ტაძარში.

შეწირულება.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 апрѣля 1898 г. ✦ *Цензоръ прот. Е. Елiевъ.*

Типог. редакцiи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.